KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

IV კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	არსებითი სახელი	5	10
II	ზოგადი წესები	5	10
III	ლიტერატურის თეორია	5	20
IV	ავტორები და ნაწარმოებები	5	20
V	ტექსტის გააზრება	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**30 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

IV კლასის ტესტი შედგება **5 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **30 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი ამოწმებს ენის ზოგადი წესების, ლიტერატურის თეორიისა და ქართველი ავტორების ცოდნას, ბოლო სავარჯიშოში კი - წაკითხული ტექსტის გააზრებას.

სავარჯიშოები

I. არსებითი სახელი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ამოწმებს არსებითი სახელის ცოდნას: კითხვები „ვინ?“ და „რა?“, სულიერი და უსულო, საკუთარი და საზოგადო სახელები, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი.

მაგალითი

რომელია საკუთარი არსებითი სახელი? **ა)** მდინარე **ბ)** **მტკვარი** **გ)** ქალაქი

სწორი პასუხი: **ბ) მტკვარი** → „მტკვარი“ კონკრეტული მდინარის სახელია; „მდინარე“ და „ქალაქი“ საზოგადო სახელებია.

II. ზოგადი წესები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ზოგადი ენობრივი წესები: დამარცვლა, სიტყვის გადატანა, კუმშვა ბრუნებისას, რიცხვითი სახელისა და არსებითის შეთანხმება.

მაგალითი

რომელი სიტყვაა სწორად გადატანილი? **ა)** **მერ-ცხალი** **ბ)** მე-რცხალი **გ)** მერც-ხალი

სწორი პასუხი: **ა) მერ-ცხალი** → სიტყვა მარცვლების მიხედვით გადაიტანება: მერ-ცხა-ლი.

III. ლიტერატურის თეორია

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

ლიტერატურის თეორიის საფუძვლები: ლიტერატურული ჟანრები (ზღაპარი, იგავ-არაკი, ლექსი), რითმა, სტროფი, გასულიერება.

მაგალითი

რა ჰქვია ლექსში სტრიქონების ბოლოს სიტყვების ერთნაირ ჟღერადობას? **ა) რითმა** ბ) სტროფი გ) აბზაცი

სწორი პასუხი: ა) რითმა → მაგალითად, „მზე - ხე“: სტრიქონების ბოლოს ასეთ ერთნაირ ჟღერადობას რითმა ჰქვია.

IV. ავტორები და ნაწარმოებები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

ამოწმებს ქართველი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების, ასევე ცნობილი ზღაპრების ცოდნას.

მაგალითი

ვინ არის „დედა ენის“ ავტორი? **ა) იაკობ გოგებაშვილი** ბ) ვაჟა-ფშაველა გ) ილია ჭავჭავაძე

სწორი პასუხი: ა) იაკობ გოგებაშვილი → „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილმა შექმნა იმ მიზნით, რომ ქართველ ბავშვებს წერა-კითხვა ესწავლათ.

V. ტექსტის გააზრება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

მოცემულია ტექსტი ქართველი სასულიერო მოღვაწის ცხოვრებასა და საქმიანობაზე. მოსწავლე ტექსტს კითხულობს და 10 შეკითხვას პასუხობს.

მაგალითი

> *ქახთუღ დამწეჩღობას ხანგძღივი ისტორია აქვს. მან განვითახების სამი საფეხური გაიახა: ასომთავჩული, ნუსხური და მხედჩული. ღღეს ჩვენ მხედჩულით ვწეჩთ. 2016 წეღს ქახთუღი დამწეჩღობის სამივე სახე იუნესკოს ახამატეჩიაღური კულტუჩული მემკვიდჩეობის სიაში შევიდა.*

რომელი დამწერლობით ვწერთ დღეს? **ა)** ასომთავრული **ბ)** ნუსხურით **გ) მხედრულით**

სწორი პასუხი: გ) მხედრულით → ტექსტში პირდაპირ წერია: „დღეს ჩვენ მხედრულით ვწერთ“.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

მოსამზადებელი კურსი

დამატებით მოსამზადებლად მოსწავლის პროფილში ხელმისაწვდომია ოლიმპიადის **მოსამზადებელი კურსი**. კურსს ოლიმპიადის **I ტურის მსგავსი სტრუქტურა** აქვს, ტესტის შესასრულებლად კი მოსწავლეს **1 საათი** ეძლევა. კურსის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლეს შეუძლია:

- გადახედოს დაშვებულ შეცდომებს
- გააანალიზოს სუსტი მხარეები
- უკეთ მოემზადოს ოლიმპიადის I ტურისთვის

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!